სიკვდილის ფილოსოფიური განცდა გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაში

გიორგაძე ნინო

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/tuw.2025.38.01.18

აბსტრაქტი. *გურამ რჩეულიშვილის ტრაგიკული ბიოგრაფია-ახალგაზრდა ასაკში დასრულებული სიცოცხლე-შემოქმედებითი მოტივებისა და მორალურ-ფსიქოლოგიური განცდების სულიერ მხარეს აყალიბებს. ეს ქმნის იმ პარადიგმას, რომლის მიხედვითაც სიკვდილი მის შემოქმედებით აღქმაში გადადის, როგორც სულისგანწმედი პროცესი. ამ თვალსაზრისით, რჩეულიშვილის გმირები ხშირად არიან ზღვარზე-ყოფნასა და არყოფას შორის, ქაოსსა და ნათელ მიზანს შორის. ამ ზღვარზე მათი გამოცდილება სწორედ სულიერი ხედვის განწმენდაში გადაიზრდება.*

სიცოცხლის შეცნობა ადამიანში ააქტიურებს ყველაზე ნამდვილს, ყველაზე პირადულს-სინდისს, სიყვარულს, მადლიერებას. სიკვდილი ბადებს იმ ღირებულებათა ამოტივტივებას ადამიანის ცნობიერებაში, რომელთაც ჩვეულებრივ ყოფით ცხოვრებაში არ იცნობენ და არ აფასებენ.

სიკვდილის მრავალასპექტიანი, მრავალგანზომილებიანი გააზრება იკვეთება გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებში: „სიკვდილი მთებში“, „ნელი ტანგო“, „თვირთვილა“, „ალავერდობა“, სადაც სიკვდილი თანაარსებობს როგორც ფიზიკურ რეალობასთან, ისე სულიერ და სიმბოლურ ხედვებთან.

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში სიკვდილის თემა რამდენიმე ასპექტით ვლინდება. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს თავისუფლებისაკენ სწრაფვას, ღირსების დაცვას, ახლის შეცნობას, საგჭოთა რეალობის წინააღმდეგ პროტესტს, დაწესებული შეზღუდებისგან გაქცევას...სიკვდილის თემა რა მოტივითაც არ უნდა იყოს ნასაზრდოები, ის არა მხოლოდ ტრაგიკული, არამედ ესთეტიზებული და სიმბოლურია. მწერალი ქმნის სიკვდილის პოეტურ სახეებს, რომლებიც ემსახურება მისი პერსონაჟების სულიერი გზის ჩვენებას.

გურამ რჩეულიშვილი თავისი ცხოვრების სტილით, სიცოცხლის ტრაგიკული დასასრულითა და შემოქმედების იდეური საზრისით გვიჩვენებს, რომ სიკვდილი შეიძლება იყოს არა მხოლოდ დასასრული, არამედ გზა-ცხოვრების ახლებური გააზრებისკენ, სულიერი განწმენდისა და ჭეშმარიტების შეცნობისკენ.

საკვანძო სიტყვები: *სიკვდილის ფენომენი, გურამ რჩეულიშვილი, „სიკვდილი მთებში“, „ნელი ტანგო“.*

,,პირველი კურსის სტუდენტი ლექციებზე დადის მაღალყელიანი ფეხსაცმლით და თუშური ქუდით. მას იცნობენ გულღია, ნიჭიერ, ვაჟკაცურ ბიჭად და უყურებენ, როგორც „შემორჩენილ სიწმინდეს“, მაგრამ გოგონებს მასთან უფრო ახლო ურთიერთობის სურვილი არ აქვთ. თავადაც ვერ ხსნის, რატომ, იწყებს სიკვდილზე ფიქრს და ყველაფერი უაზრობად ეჩვენება, მაგრამ თვითმკვლელობის ფიქრებიდან იხსნის ისევ სიკვდილის შიში. თავს შთააგონებს, რომ თუ მაინც უნდა მოკვდეს, საშიში აღარაფერი ყოფილა”(2022:25).

იქნებ, სწორედ სიკვდილის შიშის დათრგუნვიდან იწყება გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაში სიკვდილთან გაშინაურება, მისი ესტეთიზაცია და ფილოსოფიური ჭვრეტა.

გურამ რჩეულიშვილის ტრაგიკული ბიოგრაფია-ახალგაზრდა ასაკში დასრულებული სიცოცხლე-შემოქმედებითი მოტივებისა და მორალურ-ფსიქოლოგიური განცდების სულიერ მხარეს აყალიბებს. ეს ქმნის იმ პარადიგმას, რომლის მიხედვითაც სიკვდილი მის შემოქმედებით აღქმაში გადადის, როგორც სულისგანწმედი პროცესი. ამ თვალსაზრისით, რჩეულიშვილის გმირები ხშირად არიან ზღვარზე-ყოფნასა და არყოფას შორის, ქაოსსა და ნათელ მიზანს შორის. ამ ზღვარზე მათი გამოცდილება სწორედ სულიერი ხედვის განწმენდაში გადაიზრდება.

სიცოცხლის შეცნობა ადამიანში ააქტიურებს ყველაზე ნამდვილს, ყველაზე პირადულს-სინდისს, სიყვარულს, მადლიერებას. სიკვდილი ბადებს იმ ღირებულებათა ამოტივტივებას ადამიანის ცნობიერებაში, რომელთაც ჩვეულებრივ ყოფით ცხოვრებაში არ იცნობენ და არ აფასებენ.

სიკვდილის მრავალასპექტიანი, მრავალგანზომილებიანი გააზრება იკვეთება გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებში: „სიკვდილი მთებში“, ნელი ტანგო, „თვირთვილა“, „ალავერდობა“... სადაც სიკვდილი თანაარსებობს როგორც ფიზიკურ რეალობასთან, ისე სულიერ და სიმბოლურ ხედვებთან.

სიკვდილის კონცეპტუალური ჩარჩოს ყველაზე შთამბეჭდავი ნარატიული განსახიერებაა მოთხრობა „სიკვდილი მთებში“, რომელშიც სიკვდილის პირისპირ მდგომი გმირები სრულიად ახალი ღირებულებითი სივრცის წინაშე აღმოჩნდებიან. მთაში დატრიალებული ტრაგედია აღიქმება, როგორც ზღვარი ყოფასა და არყოფნას შორის. მოთხრობაში მთა არ არის უბრალოდ გეოგრაფიული არეალი. ის არის ადგილი, სადაც იკვეთება ცხოვრებისა და სიკვდილის შუალედი, სადაც ყველაფერი ზედმეტი, ხელოვნური და მოჩვენებითი ხელშესახებად ცნაურდება.

რჩეულიშვილის მოთხრობაში „სიკვდილი მთებში“ სიკვდილი, მართალია ბუნებრივ მოვლენად აღიქმება, მაგრამ პერსონაჟთა განცდებია არაერთგვაროვანი. ეს არაერთგვაროვნება მათ შინაგან სამყაროსა და ბუნებრივ კანონზომიერებასთან დამოკიდებულებას ასახავს. ერთი მხრივ, ადამიანები სიკვდილს მიმღებლობითა და სიმშვიდით ეგებებიან, მეორე მხრივ, პერსონაჟთა შორის მაინც იჩენს თავს ადამიანური შიში, ტკივილი და დანაკარგის განცდა. მთაში, სიკვდილის პირისპირ ყოფნისას, ჩნდება სიცოცხლის წამიერობის და საკუთარი მოკვდავობის მძაფრი განცდა. ეს განცდები ხაზს უსვამს იმას, რომ სიკვდილი, თუნდაც ბუნებრივი, მაინც რჩება ადამიანის ყველაზე დიდ გამოწვევად და ადამიანურ ტვირთად. მოჩვენებითი სიმშვიდის მიღმა მაინც არსებობს შინაგანი გლოვა და სევდა.

გავიხსენებთ რამდენიმე ეპიზოდს, სადაც ხაზგასმით ჩანს სიკვდილის მიმართ არაერთგვაროვანი რეაქცია:

„შავი ცხენი ბექობზე იდგა, მის უკან ლოდიანებს შუა მწვანე იყო ჩაღრმავებული. ბალახზე ქალი ეგდო გადახეთქილი შუბლით, თავით ქერათმიანი ბაშვი ეჯდა, წარბთან მიმხმარი სისხლიდან ბუზებს უგერიებდა.

კაცი-ალფრედ კურელა-ფეხებგაშლილი ადგა თავზე ორივეს და სურათს იღებდა“ (რჩეულიშვილი, 2010:136).

„პირველი, რაც ალფრედ კურელამ შეიგრძნო, იყო საოცარი უმწეობა. დამფრთხალი ცხენი ლოდიანებზე მიხტოდა, ელპიდე მარცხენა ფეხით ეკიდა უზანგზე და ქვებს გლეჯდა ხან მკერდით, ხან კეფით. გიგლა ადგილზე გაქვავდა. გამოდევნება უშედეგო იყო, შეუძლებელი. პირველად სანახაობა უფრო უცნაურს

ჰგავდა, ვიდრე შესაზარს. საზარელი მერე შეიგრძნეს, მაშინ, როდესაც ცხენი თავისით გაჩერდა. არა, უფრო გვიან, როცა ქალის ფეხი გამოაძრეს უზანგიდან“(რჩეულიშვილი, 2010: 137).

,,პირველი, რაც ალფრედ კურელამ შეიგრძნო, იყო საოცარი უმწეობა.”

უმწეობის შეგრძნება მხოლოდ ფიზიკური რეაქცია არ არის, ის წვდომაა იმისა , რომ ადამიანი ვერაფერს ახერხებს დროსა და ბედისწერის წინაშე. ელპიდეს სიკვდილი მოულოდნელია, წამია მანძილი სიცოცხლესა და სიკვდილს შორის. ამ პარადოქსს კურერა ასე აღწერს:

,,ეს უკვე მოხდა. ამას ვთვლი მე ერთ-ერთ ბედნიერ სიკვდილად, თუ შეიძლება ასე დაერქვას სიკვდილს…”

სიკვდილი რჩეულიშვილის აზრით, არც ტრაგიზმისგანაა დაცლილი და არც რომანტიზირებულია-ის სავსეა კონტრასტებით: სიცოცხლის მშვენიერება და მყისიერი გაქრობა, სილამაზე და სისხლი, ბავშვი და ბუზები.

„გურამი თავზე ადგა ცხედარს და კურელას ხელს ართმევდა. ის უყურებდა მისთვის უცხო სიკვდილს, რომელიც მთებს შუა იწვა უმოძრაოდ. უკვირდა სიკვდილიც და მათი სიცოცხლეც, რომლებიც სიკვდილთან ერთად გაიცნო(რჩეულიშვილი, 2010:139).

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პასაჟი:

,,გურამი თავზე ადგა ცხედარს და კურელას ხელს ართმევდა…უკვირდა სიკვდილიც და მათი სიცოცხლეც, რომლებიც სიკვდილთან ერთად გაიცნო.”

ეს განცდა ეხმიანება რჩეულიშვილის ცნობიერ და სულიერ დამოკიდებულებას. სიკვდილი მისთვის არ არის მხოლოდ ბიოლოგიური ფინალი-ის ადამიანის შეცნობის, ემპათიის, სულიერი დაძაბულობის გამოხატვის საშუალებაა. “უცხო სიკვდილი”-სწორედ ეს სიტყვები გამოხატავენ რჩეულიშვილის ეთიკურ განცდას: არაა ნაცნობი, მაგრამ ადამიანურად სრულიად გასაგებია სიკვდილი, რომელსაც ის ესწრება და რომლის ფონზეც სიცოცხლე სხვა ფერს იღებს.

„სიკვდილი მთებში“ გვიჩვენებს, რომ ადამიანის დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ კომპლექსურია. ის აერთიანებს ფილოსოფიურ მიმღებლობასა და ადამიანურ ტკივილს, რაც მოთხრობას სიღრმესა და მრავალმნიშვნელობას სძენს. რჩეულიშვილი არა იდეალიზებულ, არამედ რეალურ სურათს ხატავს, სადაც ადამიანები, მიუხედავად მათი სიმტკიცისა, მაინც განიცდიან დანაკარგს და ეჭიდებიან სიცოცხლეს.

„სიკვდილი მთებში“ იმ შემოქმედებითი პარადიგმის ნაწილია, რომელსაც საფუძვლად უდევს რწმენა, რომ ყველაზე დიდი მასწავლებელი შესაძლოა იყოს ზღვარი, სადაც სიკვდილის პირისპირ მყოფი ადამიანი ჭვრეტს ყოველდღიურობაში დაფარულ ჭეშმარიტებას. სიკვდილი ხდება საფუძველი სიცოცხლის ღირებულებებზე ფიქრისა.

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში „ნელი ტანგო“ პირველი მოთხრობაა, სადაც სიკვდილი მხოლოდ ბიოლოგიურ აქტად არ აღიქმება. სიკვდილი, როგორც მრავალშრიანი ფენომენი წარმოჩინდება ავტორისეული ხელწერით. უპირველესად, ის არის საჯარო აქტი თავისი აუდიტორიითა და პერსონაჟთა განცდის სხვადასხვაგვარობით. მოთხრობაში საინტერესოდაა გააზრებული ცეკვისა და სიკვდილის ურთიერთმიმართება. ტანგოს ნელი, რიტმული მოძრაობა ზღვაში დატრიალებული უბედურების ქორეოგრაფიად, თეატრალიზებულ აქტადაც შეიძლება აღვიქვათ. „ლამაზმა წაბლისფერთმიანმა ქართველმა მოძრავტანიანი რუსი გოგონა გამოიწვია საცეკვაოდ. ნელა შეცურდნენ მოედანზე“ (რჩეულიშვილი, 2010:16).

მათი საუბარი ცეკვის დროს ზღვაზე დატრიალებულ ტრაგედიას არ გასცდენია... მათი ცეკვა, ნელი ტანგო, სიკვდილის სიმბოლურ გამოხატულებად, ერთგვარ პერფორმანსად იქცა.

გურამ რჩეულიშვილის სიცოცხლეში სულ რამდენიმე ნაწარმოები გამოქვეყნდა და მათ შორის იყო „თვირთვილა“. ცხენების ციკლის მოთხრობებიდან მწერლის შემოქმედებაში „თვირთვილა“ ერთ-ერთი საუკეთესოა დასრულებული მხატვრული კონსტრუქციის თვალსაზრისითაც. ცხენი,როგორც სიმბოლო, მრავალ კულტურასა და ტექსტებში ასოცირდება თავისუფლებასთან, ძლიერი სტიქიის ძალასთან და შეუქცევად მოძრაობასთან. აღნიშნულ ასოციაციებთან მოიაზრება ცხენის მხატვრული ფუნქცია გურამ რჩეულიშვილის პროზაშიც. უფრო მეტიც, ცხენი გურამ რჩეულიშვილის ჰერალდიკადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

7-8 წლის ყოფილა გურამი, როდესაც მამას ალვანში პირველად შეუსვამს ცხენზე. იმ დღიდან დაბადებულა მასში ცხენის სიყვარული, უსაზღვრო სრბოლისა და თავდავიწყებით ჭენების სურვილი.

მარინე რჩეულიშვილი „სალამურას“ და „თვირთვილას“ ძმის ავტოპორტრეტებად მოიაზრებს. „ისიც მათსავით (იგულისხმება სალამურა და თვირთვილა-ნ.გ.) თითქოს ადგილზე ურტყამდა ფლოქვებს, განიერი ნესტოებიდან, გეგონებოდა, მართლაც ორთქლის ნაკადს უშვებდა და თითქოს მათსავით ლაგამამოდებული, ყელმოღერებული, მარტო ფრუტუნსღა ახერხებდა.“ ბუნებრივია, დის თვალსაზრისი ყველაზე უფრო მისაღები და სანდოა, აადვილებს „თვირთვილას“სწორად წაკითვასა და გააზრებას.

„ოცამდე ულაყი მიფრინავდა საცალფეხო ბილიკზე“, რომელთაგან თვირთვილა პირველობდა. მის სხეულში მომწყვდეული თავისუფლების ინსტიქტი ვერ ჰგუობდა ზურგზე მოქცეულ მხედარს, „დიდი თვალებიდან ცეცხლებს ისროდა და ბრტყელი, ძლიერი კბილებით ჭამდა ლაგამს. ლაგამი კი სულ უჭერდა და უჭერდა. უნდოდა უფრო ჩქარა, მაგრამ რკინა არ უშვებდა. მაგრად ეჭირა ცხენის თავი მხედარს. ახლეჩილი ლაშებიდან სისხლმა დაუწყო დენა. ორთქლი და დუჟი უფარავდა სისხლს. ახლა სწორ ბილიკზე გავარდა ულაყი. სადაც ცოტა მიუშვეს“(რჩეულიშვილი, 2010:61).

თავისი არსებობის მეშვიდე წელს აიტანა ბედისწერამ თვირთვილა, ვეღარ გრძნობდა ვერც მხედარს და ვერც ლაგამს. სამი დღე ილაღა თვირთვილამ ნანატრი თავისუფლებით. იალაღებზე უთენდებოდა და უღამდებოდა.

„მეოთხე დღეს ნაცნობი გზით დაეშვა სოფლისაკენ. მის საჯინიბოსთან ხალხს მოეყარა თავი; ეზოს შუაგულში მისი პატრონი იწვა და არ ინძრეოდა. თვირთვილამ თავი ასწია, კბილები გამოაჩინა და საზარლად დაიჭიხვინა; პატრონი არ ინძრეოდა; მის თავთან იდო საყვარელი ცხენის აღვირი. შვიდი წლის ულაყი დასწვდა ლაგამს და ღეჭვა დაუწყო“(რჩეულიშვილი, 2010:62).

ლაგამის ღეჭვა ორაზროვან მნიშვნელობას იძენს. ერთი მხრივ ტკივილის დაოკების ჟესტია, მეორე მხრივ-მორჩილების. თვირთვილას ქცევაში ერთიანდება თავისუფლებისადმი ლტოლვა და შეჩვეული სამყაროსადმი ერთგულება. მისი საჯინიბოს კედელთან მისვლა და ზედ გახახუნება შინაგანი მოთხოვნილების გამოხატულებაა. თვირთვილა თითქოს ცდილობს იმ გარემოში დაბრუნებას, რომელშიც მისი არსებობა ფორმულირდა. ეს მოქმედება, საბოლოო ჯამში, გამოხატავს იმ დრამატულ დაპირისპირებას, რომელიც რჩეულიშვილის შემოქმედების ერთ-ერთი აქტუალური მხარეა. ესაა შინაგანი თავისუფლებისა და რეალურად არსებული საზღვრების ურთიერთკონფლიქტი.

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში სიკვდილის თემა რამდენიმე ასპექტით

ვლინდება. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს თავისუფლებისაკენ სწრაფვას, ღირსების დაცვას, ახლის შეცნობას, საბჭოთა რეალობის წინააღმდეგ პროტესტს, დაწესებული შეზღუდებისგან გაქცევას...სიკვდილის თემა რა მოტივითაც არ უნდა იყოს ნასაზრდოები, ის არა მხოლოდ ტრაგიკული, არამედ ესთეტიზებული და სიმბოლურია. მწერალი ქმნის სიკვდილის პოეტურ სახეებს, რომლებიც ემსახურება მისი პერსონაჟების სულიერი გზის ჩვენებას.

ამგვარად, გურამ რჩეულიშვილი თავისი ცხოვრების სტილით, სიცოცხლის ტრაგიკული დასასრულითა და შემოქმედების იდეური საზრისით გვიჩვენებს, რომ სიკვდილი შეიძლება იყოს არა მხოლოდ დასასრული, არამედ გზა-ცხოვრების ახლებური გააზრებისკენ, სულიერი განწმენდისა და ჭეშმარიტების შეცნობისკენ.

ლიტერატურა:

1. გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მატეანე(2020), რედაქტორი: მაია ნინიძე, გამომცემლობა „მთაწმინდა“, თბილისი“;
2. რჩეულიშვილი (2010), რჩეულიშვილი, გ., ნელი ტანგო, მოთხრობები, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი.

The Philosophical Perception of Death in the Life and Work of Guram Rcheulishvili

Giorgadze Nino
Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

Guram Rcheulishvili's tragic biography—his life ending prematurely at a young age—constitutes a formative factor in the spiritual dimension of his creative motifs and moral-psychological sensibility. This biographical circumstance establishes a paradigm in which death, within his artistic consciousness, is conceptualized as a process of spiritual purification. From this perspective, Rcheulishvili's protagonists are frequently situated at a liminal point—between existence and non-existence, between chaos and a clearly defined telos. At this threshold, their lived experience is transfigured into a purification of spiritual perception.

The comprehension of life activates within the human being what is most authentic and most intimate—conscience, love, and gratitude. Death brings to the surface within human consciousness those values that are ordinarily neither recognized nor properly appreciated in everyday existence.

A multifaceted and multidimensional conception of death emerges in Guram Rcheulishvili's short stories—„სიკვდილი მთებში“ [sikvdili mtebshi] (Death in the Mountains), "ნელი ტანგო" [neli tango] (slow Tango) "თრთვილა“ [Thvirtvila] and "ალავერდობა" [Alaverdoba] —in which death coexists both as a physical reality and as a spiritual and symbolic vision.

In Guram Rcheulishvili's literary works, the theme of death manifests itself through several interrelated aspects. It may be associated with the striving for freedom, the defense of dignity, the pursuit of new forms of knowledge, protest against Soviet reality, or an escape from imposed constraints. Regardless of the motivating impulse from which it arises, the theme of death is not solely tragic but is also aestheticized and imbued with symbolic meaning. The writer constructs poetic images of death that serve to illuminate the spiritual trajectory of his characters.

Through his way of life, the tragic premature end of his life, and the ideological depth of his literary work, Guram Rcheulishvili demonstrates that death can be understood not merely as an end, but as a pathway—toward a renewed comprehension of life, spiritual purification, and the recognition of truth.

Keywords: *phenomenon of death, Guram Rcheulishvili, "Sikvdili Mtebshi (Death in the Mountains)", "Neli Tango (Slow Tango)".*